

შპს ახალი ხედვა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება საანგარიშო წლისათვის,
რომელიც დასრულდა 2022
წლის 31 დეკემბერს

სარჩევი:

• მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის	3
• ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4
• საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5
• შპს ახალი ხედვის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	6
• ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები	18
შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები	18
შენიშვნა 4 - ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	19
შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	19
შენიშვნა 6 - მარაგები	19
შენიშვნა 7 - სესხები	20
შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	20
შენიშვნა 9 - ამონაგები	20
შენიშვნა 10 - სხვა შემოსავალი	21
შენიშვნა 11 - ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	21
შენიშვნა 12 - სხვა ხარჯები	22
შენიშვნა 13 - ფინანსური ხარჯი	22

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა

მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2022 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)	31.12.2022	31.12.2021
ამონაგები	8 724 000	7 150 203
თვითღირებულება	(2 966 545)	(2 565 579)
საერთო მოგება	5 757 455	4 584 624
სხვა შემოსავლები	783 589	803 836
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	(2 980 185)	(2 585 920)
მიწოდების დანახარჯები	(145 973)	(58 272)
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	0	504
სხვა ხარჯები	(577 312)	(133 500)
საოპერაციო მოგება	2 837 574	2 611 272
ფინანსური ხარჯი	(94 976)	(163 970)
ფინანსური ხარჯი - წმინდა	(94 976)	(163 970)
მოგება დაბეგვრამდე	2 742 598	2 447 302
მოგების გადასახადი	(80 456)	(101 896)
პერიოდის მოგება	2 662 142,72	2 345 406,30

დირექტორი




კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა


ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31.12.2022	31.12.2021	31.12.2020
(ლარი)			
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
არამატერიალური აქტივები	4 282	4 713	5 977
ძირითადი საშუალებები	979 949	926 265	1 637 104
გუდვილი	386 981	0	0
	1 371 211	930 979	1 643 081
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	568 152	1 350 868	239 563
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2 541 327	1 848 532	1 247 278
მარაგები	4 777 232	4 191 950	3 818 380
	7 886 711	7 391 350	5 305 221
მთლიანი აქტივები	9 257 922	8 322 329	6 948 302
მთლიანი კაპიტალი			
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	6 731 355	4 891 825	2 956 532
	6 731 355	4 891 825	2 956 532
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	1 658 992	2 150 359	3 127 861
	1 658 992	2 150 359	3 127 861
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	867 575	917 413	824 985
საგადასახადო ვალდებულებები	0	362 731	38 924
	867 575	1 280 144	863 909
მთლიანი ვალდებულებები	2 526 567	3 430 504	3 991 770
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები	9 257 922	8 322 329	6 948 302

დირექტორი




კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შპს ახალი ხედვა

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის
მდგომარეობით

(ლარში)	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2021 წლის 1 იანვარი	2 954 628	2 956 532
მოგება წლის ბოლოს	2 345 406	2 345 406
სხვა სრული შემოსავალი	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	2 345 406	2 345 406
გაცემული დივიდენდი	407 684	407 684
სხვა ცვლილება	525	525
კაპიტალის გატანა	-	-
2021 წლის 31 დეკემბერი	4 891 825	4 891 825
მოგება წლის ბოლოს	2 662 143	2 662 143
სხვა სრული შემოსავალი	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	2 662 143	2 662 143
გაცემული დივიდენდი	813 437	813 437
სხვა ცვლილება	9 175	9 175
კაპიტალის გატანა	-	-
2022 წლის 31 დეკემბერი	6 731 356	6 731 356

დირექტორი




შპს ახალი ხედვის 2020 წლის ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ახალი ხედვა (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 02 ნოემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრირებულია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ, საიდენტიფიკაციო ნომრით 400029303. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, გლდანის რაიონი, გლდანი, II მ/რ, კორ. 29, ბ. 2 .

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცალო და საბითუმო ვაჭრობა ფარმაცევტული, სამედიცინო და ორთოპედიული საქონლით სპეციალიზებულ მაღაზიებში.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 61%-იანი წილის მფლობელია - გიორგი მონასელიძე (01003015096), 10%-იანი წილის მფლობელია - მარიამი ბურდული (01002026935), 29%-იანი წილის მფლობელია - ლალი შეშაბერიძე (01003013944). კომპანიის დირექტორია - გიორგი მონასელიძე (01002026935).

კონსოლიდაციის საფუძველი

შპს „ახალი ხედვა“ წარმოადგენს შპს „ჯანმრთელობის ცენტრი ახალი ხედვა“-ს (ს.ნ. 402241953) 100 პროცენტთან დამფუძნებელს. 2022 წელს დამფუძნებელმა კომპანიამ დაფუძნებულში შეიტანა კაპიტალი, რომლის ნაწილიც თავის მხრივ შპს „ჯანმრთელობის ცენტრი ახალი ხედვა“-მ შეიტანა სხვა კომპანიაში, ხოლო ნაწილი თანხა წლის ბოლოს ფიქსირდებოდა კომპანიის ანგარიშზე. სხვა ოპერაციები შპს „ჯანმრთელობის ცენტრი ახალი ხედვა“-ში არ განხორციელებულა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდით, საწარმო აკმაყოფილებს ფუნქციონირებადი საწარმოს მოთხოვნებს;

მსს ფასს სტანდარტების პირველადი გამოყენება

კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- კომპანიაში მოხდა საბუღალტრო საქმიანობის შესწორება და კომპანიის ბუღალტერია 2017 წლის 01 იანვრიდან აღრიცხვას აწარმოებს მსს ფასს-ის შესაბამისად.

- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს, რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული ოფიციალური კურსით აღიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს.

2022 წლის 31 დეკემბერს და 2021 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2021 წლის 31 დეკემბრისთვის	3.0976	3.5040
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.7020	2.8844

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები:

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ტერმინების განმარტებები:

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ხოლო მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას.

ფინანსური აქტივი ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი სახეობაა.

კომპანია ფინანსური აქტივების სახით ფლობს, მსს ფასს 11 განყოფილების „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტების“ თანახმად, შემდეგ ძირითად ფინანსურ ინსტრუმენტებს:

ა) რეზიდენტი ბანკების საბანკო ანგარიშებზე განთავსებულ ფულად სახსრებს;

და

ბ) 3 თვემდე მოთხოვნამდე და 12 თვემდე ფიქსირებულვადიანი დეპოზიტების საბანკო ანგარიშებს რეზიდენტ ბანკებში.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას თავდაპირველი აღიარებისას ჯგუფების მიხედვით.

კომპანია იმ შემთხვევაში აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ფინანსურ ვალდებულებას, თუ საწარმო ხდება სახელშეკრულებო პირობების მონაწილე.

თავდაპირველად ფინანსური აქტივები ფასდება თვითღირებულებით. ფინანსური აქტივების თვითღირებულება არის ოპერაციის/გარიგების ფასი გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას როდესაც, აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს გასდის ვადა.

დებიტორული დავალიანების გაუფასურება

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ცალსახად არ არსებობს რაიმე ობიექტური მტკიცებულება არსებული ფინანსური აქტივების გაუფასურებისა. იმ შემთხვევაში, თუ მომავალ პერიოდში არსებითად გაიზრდება დებიტორული დავალიანების თანხა და ადგილი ექნება გაუფასურების გამოძწევ მიზეზებს, როგორიცაა: ხელშეკრულების პირობების დარღვევა, მომავალი ფულადი ნაკადების სიდიდის შემცირება, ემიტენტის მნიშვნელოვანი ფინანსური სიძნელეები, თუ ცხადი გახდება, რომ დებიტორთან დაკავშირებით დაიწყება გაკოტრების, ან სხვა სახის ფინანსური რეორგანიზაციის პროცესი, - საწარმო დაუყოვნებლივ შექმნის საექვო და უიმედო მოთხოვნების რეზერვებს (ანარიცხებს), და აღიარებს გაუფასურების ზარალს შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალში.

ფინანსური ვალდებულებები, აღიარება და აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით.

ვალდებულებების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, რომლის სანაცვლო ფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

ან, მიღებული ფულადი სახსრების ოდენობა, რომლის სანაცვლო არაფულადი აქტივი ჯერ არ მიწოდებულა;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისათვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარავად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

კომპანია ფინანსური ვალდებულების აღიარებას წყვეტს მაშინ, როცა ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. საკურსო სხვაობა ანაზღაურებას შორის აისახება მოგებასა და ზარალში.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც, არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება ერთდროულად.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც დაუბრკოლებლად გადაიცვლება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

სავაჭრო მოთხოვნები და გაცემული სესხები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

მარაგები

მარაგები საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად, ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები

ა) თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდაგვარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ა) შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ბ) ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა ნაგებობები	20-50
მანქანა-დანადგარები	5-12
ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	7-15
სატრანსპორტო საშუალებები	3-7
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	30-50
ელექტრო მოწყობილობები	5-15

აქტივის გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივებისა გატესტვა გაუფასურებაზე, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება აქტივის საბალანსო ღირებულება, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში

სავაჭრო ვალდებულება

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

დაბეგვრა

კომპანიის გადასახადი გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად.

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

ამონაგების აღიარება

კომპანიის მიერ მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, მომსახურების დასრულების შემდგომ, როდესაც მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში და ამონაგების ოდენობის შეფასება საიმედოდ არის შესაძლებელი. თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

სახელფასო განაცემები

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწუმენება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

• ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს. გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეროვნული ან ადგილობრივი ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე. ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას. მომავალი ფულადი ნაკადების მოცულობის და დროში განაწილების შეფასების მეთოდოლოგია ხელმძღვანელობის მიერ გადაიხედება პერიოდულად, რათა შემცირდეს სხვაობა შეფასებულ და ფაქტიურ დანაკარგებს შორის.

ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 3 - ძირითადი საშუალებები

შენიშვნები	მანქანა-დანადგარები	ოფისის აღწურვილობა, ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ	
31 დეკემბერი 2020	1 352 917	50 819	142 040	91 329	-	1 637 104
შემოსვლა	-	143 324	23 361	37 799	5 749	210 233
გასვლა	678 487		165	16 237		694 889

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ცვეთა და გაუფასურება	89 806	39 534	58 038	37 847	958	226 183
31 დეკემბერი 2021	584 625	154 608	107 198	75 043	4 791	926 266
შემოსვლა	-	23 289	22 880	219 418	-	265 587
გასვლა	-	-	88	104 698	-	104 787
ცვეთა და გაუფასურება	20 211	32 757	25 996	27 368	1 246	107 577
31 დეკემბერი 2022	564 414	145 140	103 994	162 395	3 545	979 489

ცვეთის მეთოდი: წრფივი

შენიშვნა 4 - ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2022	2021	2020
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	2022,98	2994,85	3636,93
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	295169,36	181077,58	49676,12
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	96449,13	1166795,76	186249,82
სულ	393641,47	1350868,19	239562,87

შენიშვნა 5 - სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2022	2021	2020
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2344131,44	1668417,72	1090651,79
მოთხოვნები ბანკებიდან	1878,62	4411,98	545,17
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	3785	1941	320
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	97239,02	173761,34	155761,25
საგადასახადო მოთხოვნები	94292,81		
მოთხოვნები მივლინებაზე გაცემული თანხებიდან	0	0	0
სულ	2541326,89	1848532,04	1247278,21

შენიშვნა 6 - მარაგები

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	2022	2021	2020
საქონელი	4722437,36	4140656,08	3804041,72
ნედლეული და მასალები	30235,28	27128,13	12364,62
საწვავი	6117,5	2904,92	1973,26
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	18441,55	21260,47	0
სულ	4777231,69	4191949,6	3818379,6

შენიშვნა 7 - სესხები

	2022	2021	2020
გრძელვადიანი	-	0	0
გრძელვადიანი სესხები ბანკიდან	1658992,11	2150359,2	3127860,5
	1658992,11	2150359,2	3127860,5

შენიშვნა 8 - სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2022	2021	2020
მოწ. და მომსახ. წარმოქმნილი ვალდებულებები	831984,76	885298,96	819267,48
მიღებული ავანსები	13019,95	11111,38	1392,52
გადახდილი ხელფასები	16306,8	6726,99	2199,11
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	0	0	715
საპენსიო ვალდებულება	6263,26	14275,78	1411,18
სულ	867574,77	917413,11	824985,29

შენიშვნა 9 - ამონაგები

	2022	2021	2020
შემოსავალი რეალიზაციიდან	8762902,09	7170954,63	5840185,45
გაყიდული საქონელი დაბრუნება და ფასდათმობა	-38901,87	-20751,88	-33280,85
სულ	8724000,22	7150202,75	5806904,6

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შენიშვნა 10 - სხვა შემოსავალი

	2022	2021	2020
სხვა საოპერაციო შემოსავლები	0	3564,9	0
არასაოპერაციო მოგება	727760,25	392929,42	106918,05
კონვერტაციის შემოსავალი	262,21	21348,26	38050,17
განსაკუთრებული შემოსავლები	282,21	13667,76	15493,85
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	55284,15	372325,91	21362,86
სულ	783588,82	803836,25	181824,93

შენიშვნა 11 - ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი

	2022	2021	2020
ცვეთა და ამორტიზაცია	108008,86	227446,04	95755,23
სხვა საოპერაციო ხარჯები	0	29,66	104
ქონების დაზღვევა	14164,15	14190,34	13844,05
შრომის ანაზღაურება და საკომისიო გასამრჯელო	168411,23	384345,89	220382,69
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	19725,88	13004,34	46525,94
შრომის ანაზღაურება	1344747,44	851420,74	612959,62
ჯანმრთელობის დაზღვევა	12288,77	2207,14	10857,3
სოციალური დანარიცხები	37267	28907,3	2229,52
საიჯარო ქირა	243547,75	176415,17	201344,88
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა	0	8693,98	0
დაცვის ხარჯი	6741,75	6468,51	8815,95
კომუნიკაციის ხარჯები	25865,72	21130,94	22059,48
კომუნალური ხარჯები	38561,24	21930,04	18710,88
სამივლინებო ხარჯი	15734,17	16357,96	3322
რეკლამის ხარჯები	171846,46	117286,79	44113,7
მანქანის მიმდინარე რემონტი	96071,6	61520,54	7385,17
კომპიუტერის ხარჯები	7912,96	5261,52	5524,54
საკონსულტაციო ხარჯები	355726,01	463055,55	7608,48
სხვა საგადასახადო ხარჯი	73085,61	51916,09	11104,13
წარმომადგენლობითი ხარჯი	4392,89	7150,69	11990,7
საბანკო მომსახურება	41824,71	35420,28	44427
უნიფორმის მომსახურების საკომისიო	316,82	15,8	0
საკანცელარიო, სამეურნეო	5102,93	2781,64	26475,56
ფიზ. პირის მომსახურება	43380,62	102,04	0
სხვა საერთო ხარჯი	132887,77	58278,02	28762,08
უსაბუთი ხარჯები	0	0	338,98

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

სარემონტო მასალები	12572,32	9514,03	28172,38
მიმდინარე ხარჯი გორი	0	552,23	16131,9
ოფისის ნივთები	0	517,17	0
სულ	2980184,66	2585920,44	1488946,16

შენიშვნა 12 - სხვა ხარჯები

	2022	2021	2020
არასაოპერაციო ზარალი	534425,47	53383,22	736219,79
კონვერტაციის ხარჯი	359,25	48514,74	90618,27
ჯარიმები	21864,28	31437,63	196,53
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	20663,08	163,95	1346,91
სულ	577312,08	133499,54	828381,5

შენიშვნა 13 - ფინანსური ხარჯი

	2022	2021	2020
ფინანსური დანახარჯები	94975,98	163969,74	136292,37
საპროცენტო ხარჯი	94975,98	163969,74	136292,37
სულ ფინანსური დანახარჯები	94975,98	163969,74	136292,37

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2023 წლის 26 სექტემბერს.

დირექტორი